

ტურიზმის განვითარება რაჭაში - მიგრაციის შეჩერების მექანიზმი

ჯგუფი 4

ქეთევან ოქროპირიძე

ქრისტინე ბელაშვილი

თორნიკე ფურცელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან ოქროპირიძე

ქრისტინე ბელაშვილი

თორნიკე ფურცელაძე

28.06.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია თემაზე: “ტურიზმის განვითარება რაჭაში, მიგრაციის შეჩერების მექანიზმი”. ნაშრომში ნაჩვენებია მთიანი რეგიონების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – მიგრაცია, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ განვითარებად ქვეყანაში გვხვდება. უფრო კონკრეტულად კი ყურადღება გამახვილებულია შიდა მიგრაციაზე, რომელიც თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ 21–ე საუკუნის ერთ–ერთ გამოწვევად სახელდება.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების პერსპექტივები რაჭაში, რომელიც წარმოდგენილია როგორც მიგრაციის პრობლემის გადაჭრის კომპონენტი. ნაშრომში განხილულია მიგრაციის დონე, მისი გამომწვევი ფაქტორები, მხარის ბუნებრივ–კულტურული რესურსები, მათი ტურისტული პოტენციალი და რათქმაუნდა ტურიზმის გავლენა მიგრაციის პროცესზე.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით. მეორადი კვლევის დახმარებით მივიღეთ რაჭის დღევანდელი რეალური სურათი, კერძოდ კი – ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი რესურსები, მხარის მიმდინარე სოციო–ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მიგრაციის და დემგრაფიული მაჩვენებელი, სახელმწიფოს და კერძო სექტორის ჩათულობის დონე, რაჭის როგორც ახალი, პერსპექტიული და მიმზიდველი ტურისტული ადგილის წარმოსაჩენად. ეს ყველაფერი კი რათქმაუნდა იმისთვის, რომ გაგვერკვია ყველა ის წინაპირობა, რაც აფერხებს რაჭაში ტურიზმის განვითარებას და რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან, განვითარების პროცესის ხელშეწყობად.

პირველადი კვლევის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ რაჭაში, მაგრამ ეს რეგიონი აღარ წარმოადგენს მათ მუდმივ საცხოვრებელს სხვადასხვა მიზეზის გამო. კვლევის დროს გამოიკვეთა მათი მზაობა რეგიონში დაბრუნების შესახებ, განსაკუთრებით კი მათგან, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს უძრავი ქონება და სურს განავითაროს მცირე ან საშუალო ბიზნესი ტურისტული მომსახურებისთვის, შესაბამისი ხელშეწყობის პირობებში.

ძირითადი სიტყვები: შიდა მიგრაცია, მთიანი რეგიონები, ტურიზმი, ტურიზმის პერსპექტივები.

Abstract

The Master's thesis refers to the topic "Tourism Development in Racha the mechanism for preventing migration". The thesis describes one of the important problems of highland regions, a migration faced not only in Georgia but in many developed countries. The focus is made on internal migration which can be freely described as one of the challenges of 21st century.

The main part of the thesis refers to the tourism development prospective in Racha as the component of migration problem solution. The thesis reviews the migration level, the causes, natural and cultural resource of the region, tourist potential and of course impact of tourism on the migration process.

The study was conducted by means of quantitative method. By means of secondary research current situation was studied in Racha, in particular, the resources required for tourism development, social, economic and infrastructural conditions of the region, migration and demographic data, state and private sector inclusion level for presentation of Racha, as a new, prospective and attractive tourist destination. All mentioned were applied in order to understand all the preconditions preventing development of tourism in Racha and what should be done from the side of state to support development process.

The people who participated in the primary survey were those who used to live in Racha, but currently it is not their permanent residential place due to different reasons. During the study they demonstrated their readiness to return back in the region, especially, those who still have the property their and would like to develop small or middle business for tourist services in case of respective support.

Key Words: Internal migration, highland regions, tourism, the prospective of tourism.